საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72

N 74
24/08/2015

74-06-4-201508241748

განკარგულება № 74
ქ.ოზურგეთი
24.08.2015წ.

საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ყოველთვიური რაოდენობისა და თითოეული მოვალეობების შესრულებისათვის ხარჯების მაქსიმალური ლიმიტის განისაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 156-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №1 დადგენილებას თანდართული რეგლამენტის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრისათვის, რომელიც არ არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, ასანაზღაურებელი ხარჯების ყოველთვიურ რაოდენობად განისაზღვროს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15% - 397 (სამას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარი.

მუხლი 2. საკრებულოს წევრის თითოეული მოვალეობების შესრულებისათვის ხარჯების მაქსიმალური ლიმიტი რაოდენობის ფარგლებში განისაზღვროს:

ა) საკრებულოს სხდომებში მონაწილეობისათვის - 50 (ორმოცდაათი) ლარი;

ბ) საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობისათვის - 50 (ორმოცდაათი) ლარი;

გ) საკრებულოს ფრაქციის სხდომებში მონაწილეობისათვის - 50 (ორმოცდაათი) ლარი;

დ) დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობისათვის - 50 (ორმოცდაათი) ლარი;

ბ) ამომრჩევლებთან გასვლითი შეხვედრებისათვის - 50 (ორმოცდაათი) ლარი;

გ) ადმინისტრაციულ შენობაში მოქალაქეთა მიღებისათვის - 50 (ორმოცდაათი) ლარი.

მუხლი 3. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ყოველთვიური ლიმიტისა და თითოეული მოვალეობების შესრულებისათვის ხარჯების

მაქსიმალური ოდენობის განისაზღვრის შესახებ“ 2014 წლის 1 ოქტომბრის N60 განკარგულება.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია 2015 წლის 4 აგვისტოდან.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე